



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა
GEORGIA
ZUGDIDI MUNICIPALITY GOVERNMENT

გამგებლის ბრძანება

N 752
06/03/2017

752-02-4-201703061711



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის დოკუმენტის შემუშავების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა“ და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. მუნიციპალიტეტის გამგეობამ სახელმწიფო რწმუნებულის გუბერნატორის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით უზრუნველყოს 2017 და მომდევნო სამი წლისათვის პრიორიტეტის დოკუმენტის შემუშავება, მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების განსაზღვრა და მათ მისაღწევად განსახორციელებელი ძირითადი პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსების ოდენობა მიზნებისა და შედეგების ჩვენებით.
2. დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურულ ერთეულებს - სამსახურებს, გამგებლის წარმომადგენლებს მიმდინარე წლის 1 ივლისამდე წარმოადგინონ წინადადებები და მიიღონ მონაწილეობა 2017 და მომდევნო სამი წლისათვის პრიორიტეტის დოკუმენტის შემუშავებაში.
3. 2017 და მომდევნო სამი წლისათვის პრიორიტეტის დოკუმენტების შესამუშავებლად თავიანთი წინადადებები და მოსაზრებები წარმოადგინონ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედმა არასამთავრობო და სხვა ორგანიზაციებმა, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებმა მოქალაქეებმა.
4. შემუშავებული პრიორიტეტის დოკუმენტი მიმდინარე წლის 15 ნოემბრამდე წარედგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს.
5. აღნიშნული ბრძანება გამოქვეყნდეს მუნიციპალიტეტის გამგეობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებებით.
6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილეს და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს ნ. მიქენაიას.

7. ბრძანება ამოქმედდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გაცნობისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180-ე მუხლის პირველი ნაწილის და „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში

მამუკა წოწერია



გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა